

კასპის მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები გრძელდება



ლაკრისხევის საგარაკე დასახლებასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციის მიმდინარეობას გაეცნენ. პროექტი ითვალისწინებს 2400 გრძივი მეტრი ამორტიზებული გზის ასფალტ-ბეტონის საფარით მოწყობას, რომელიც ხელს შეუწყობს საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას.

პროექტი რევიონების განვითარების ფონდის და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

გზის მოწყობის სამუშაოებს კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე და საკრებულოს თავმჯდომარე შოთა ბეგლარაშვილი გაეცნენ.

მაღალმთიან სოფელ ლავრისხევთან და ლავრისხევის საგზაო დასახლებასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

კასპის მუნიციპალიტეტში გრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები.

მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე, საკრებულოს თავმჯდომარე შოთა ბეგლარაშვილი და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

ბრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად მაღალმთიან სოფელ ლავრისხევთან და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

კასპში ანტონოვსკაის ქუჩაზე, მოსამზადებელი სამუშაოების დასრულების შემდეგ, ასფალტ-ბეტონის საფარის პირველი ფენის მოწყობა მიმდინარეობს.

გზის მოწყობის სამუშაოებს კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე და საკრებულოს თავმჯდომარე შოთა ბეგლარაშვილი გაეცნენ.

ანტონოვსკაიას ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოებს კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე და საკრებულოს თავმჯდომარე შოთა ბეგლარაშვილი გაეცნენ.

ასფალტ-ბეტონის საფარის პირველი ფენის მოწყობა მიმდინარეობს



ქუჩაზე ორფენიანი ასფალტ-ბეტონის საფარი დაიგება



ქალაქ კასპში ვარძიის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს.

მოსამზადებელი სამუშაოების დასრულების შემდეგ ქუჩაზე ორფენიანი ასფალტ-ბეტონის საფარი დაიგება.

700 გრძივი მეტრი ქუჩის რეაბილიტაცია რევიონების განვითარების ფონდის და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

დაავადებათა აღრეული გამომავალი და სკრინინგის სახელმწიფო პროგრამის კიბოს სკრინინგის კომპონენტის ფარგლებში, კასპის მუნიციპალიტეტში უფასო სამედიცინო აქცია ჩატარდა.

“დაავადებათა აღრეული გამომავალი და სკრინინგის სახელმწიფო პროგრამის კიბოს სკრინინგის კომპონენტის ფარგლებში”, კასპის მუნიციპალიტეტში უფასო სამედიცინო აქცია ჩატარდა.



აქცია გამართა მუნიციპალიტეტის 8 ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლებში: ქვემოჭალის, სამთავისის, კავთისხევის, ახალქალაქის, მეტეხის, ქვემო გომის, დოვისის, ხოვლის სოფლების მოსახლეობისათვის.

სამედიცინო ცენტრის მამობილში ჯამში, 500-ზე მეტ მეტ ციენტს გააეწია უფასო სამედიცინო მომსახურება.

მდინარე ლეხურას მარცხენა სანაპიროზე 848 გრძივი მეტრი გაბიონის მოწყობა მიმდინარეობს

ქალაქ კასპში მდინარე ლეხურას მარცხენა სანაპიროზე 848 გრძივი მეტრი გაბიონის მოწყობა მიმდინარეობს.

სამუშაოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დეპარტამენტის ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს “სარტყელი” ახორციელებს. მშენებელმა კომპანიამ მანამდე კი მდინარის კალაპოტის ამოწმების და დაღრმავების სამუშაო შეასრულა. აღნიშნული პროექტის განხორციელება მნიშვნელოვანია, ვინაიდან დაცული იქნება მოსახლეობის საცხოვრებელი ბინები და მიწის ფართობები, რომლებიც მდინარის კალაპოტის გასწვრივ მდებარეობენ.



პროექტის მოსახლეობის საცხოვრებელი ბინები და მიწის ფართობები, რომლებიც მდინარის კალაპოტის გასწვრივ მდებარეობენ.

პროექტის მოსახლეობის საცხოვრებელი ბინები და მიწის ფართობები, რომლებიც მდინარის კალაპოტის გასწვრივ მდებარეობენ.



დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერი-ის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

დასასრული
დასაწყისი გვ 2.

ზემოთ აღნიშნულ პროექტს ანხორციელებს შპს "გამა" (ფირმის დირექტორი ტარიელ თავაძე, სამუშაოთა მწარმოებელი ირაკლი თავაძე). მის შრომით კოლექტივს ქ. კასპსა და მუნიციპალიტეტის სოფლებში არაერთი სამშენებლო საქმისათვის დაუდგამს გვირგვინი: სადგურ მეტეხის დასახლებაში აავო საბავშვო ბაღი და განაახლა საცხოვრებელი კორპუსების სახურავები, კასპში ააშენა ამბულატორია და გაიყვანა საკანალიზაციო ქსელები, მართივი ტიპის მინისტადიონები აავო მეტეხში, ოკამში, ქვემო ჭალამი.

გვესაუბრება შპს "გამას" ფირმის დირექტორი ტარიელ თავაძე: — ქალაქ კასპის მოსახლეობისათვის კულტურის ეს კერა ერთ-ერთი უძველესია და, ამდენად, მათი გართობა-დასვენებისათვის საყვარელ, მიჩვეულ, გამოსარჩევ ნაგებობას წარმოადგენს. ჩვენი ფირმის კოლექტივის მის რეაბილიტაციას განახლებას სრული პასუხისმგებლობით მიუღვა. უკვე შეგვიძლია იმის თქმა, რომ დასახულ ამოცანას თავი გავართვი. მალე, უკვე მაინდან, იგი კასპელთა სრულ განკარგულებაში იქნება. ვფიქრობთ, სწორედ ისინი გახდებიან რეაბილიტაციისათვის გარჯილობის შედეგის პირუთენელი შემფასებლები.

ჩვენი კოლექტივის წინაშე მდგომ სარეაბილიტაციო სამუშაოებს რაც შეეხება, გეტყვით, რომ რამდენიმე მიმართულებით წარმართა და მოიცავდა: შიდა სივრცული კედლების, სველი წერტილების, ელექტროგაყვანილობისა და სახანძრო უსაფრთხოების სისტემის, შიდა მოპირკეთების, ცენტრალური გათბობის სისტემის მოწყობისა და სხვა კუთხით გამწვანებისა.

ახლა ვნახოთ, თითოეული რას ითვალისწინებდა: შიდა სივრცული განახლება: ძველი წყობის კედლები დემონტაჟდა და ხელახლა გაილესა თანამედროვე აპარატურითა და მასალებით (მაგალითად, გიპერით, რომელიც თაბაშირის ანალოგიურია, მაგრამ უფრო ნესტგამძლე და მალეშრობადია); ფოიებში დამუშავდა გადაილაქა მარმარილოს ქვის ფენა; ჭერიდან ჩამოიყარა თაბაშირის ძველი ნაღესი და ჩანაცვლდა ამსტრონგის ჭერი, რაც თანამედროვე დიზაინის ბოლო სიტყვას განეკუთვნება, შიგვე ჩამოშაფებული სათანადო ელექტროგანათების ქსელით; ყველა ოთახისა და დარბაზის იატაკი, რისთვისაც გამოყენებული პარკეტის მასალა, დაიგოზა, ჩაიჭედა და მოჭიქურდა, კედლები შეიფთხა და შეიღება ნათელი ფერის საღებავით; სველი წერტილები: შენობის

ორივე სართულზე მთლიანად განახლდა; ცენტრალური გათბობა: მოწყობილია შესაბამისი საჭიბე და სისტემა პირველად მოეწყო მთლიან შენობაში, ასევე, დიდ სარდაფში, რომელსაც ასეთ პირობებში სხვა დანიშნულებით გამოყენების ფუნქციაც მიენიჭება (თუნდაც, სამედიცინო ხასიათის); მთლიანი სახანძრო უსაფრთხოების სისტემა განახლებულია და პასუხისმგებელი სადღეისო მოთხოვნებს...

ამგვარი ფართო მასშტაბის სამუშაოები ხარისხიანად და პროფესიულად შესასრულეს მათში ჩართულმა პროფილურმა ბრიგადებმა: მლესაგო (მამუკა ცეცხლამის ხელმძღვანელობით), მეგაფლე მეტლახოსნებისა (ვახტანგ ილურიძე), გიფსო-მუყაოსა და ამსტრონგის ჭერის ხელოსნებისა (გიორგი ოთიაშვილი); გათბობის მე-

ლოგები წარმართა ცნობილ რეჟისორებს, მსახიობებსა და მკურნებელთა შორის. ჩვენი კულტსახლის კოლექტივის ინიციატივით მოვიწვიეთ ცნობილი რეჟისორი რეზო ჩხეიძე, რომელმაც ის-ის იყო, გადაიღო ფილმი "რაიკომის მდივანი". მთავარი გმირის როლის შემსრულებელ თემურ ჩხეიძესთან ერთად კასპში იმყოფებოდნენ მსახიობი მალხაზ მებურიშვილი, კომპოზიტორი გომარ მოვიწვიეთ ინდუსტრიული ტექნიკუმის მოსწავლეები. მასპინძელთა მხარეს წარმოადგენდნენ ცემენტის ქარხნის წამყვანი სპეციალისტები, შრომის ამადგარი ადამიანები. მათ ერთობლივ საქმიანსაუბრებს მუსიკალური ნომრები შეეჯამათ.

ერთი სხლის
იხსოვიდას

1980-1991 წლებში კასპის ცემენტის ქარხნის კულტურის სახლს დირექტობდა გივი გიგაური, ხოლო მის მოადგილედ დანიშნული იყო ქეთევან გორგაძე. ეს უკანასკნელი გამოეხმაურა 2024 წლის მარტში გამოქვეყნებულ საგაზეთო პუბლიკაციას "როცა ინტერნეტი არ არსებობდა". იგი იხსენებს იმ ადამიანებს, ვინც იმ პერიოდში მუშაობდა კულტსახლში, ჩამოთვლის ღონისძიებებს, ერთობლივად რომ გაუმართავთ მის დარბაზებში, ფოიეში, სცენაზე.

განელი გახლდათ, — იხსენებს ქალბატონი ქეთევანი და განაგრძობს, — იმავე პერიოდში მოქმედ სხვადასხვა წრეებრივ საქმიანობას კი წარმართავდნენ: ლია მენაბდიშვილი, თამრიკო გურგენიძე, სვეტა ადუაშვილი, იზაბელა თაბუკაშვილი, ჟენია ფარეშაშვილი, ლენა ნონიაშვილი... ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია, როგორც 10-წლიან პერიოდში გამართულ-ჩატარებული უამრავი ღონისძიებისა.

მასობრივ კონცერტში დიდ-პატარა ერთობოდა. თანამშრომლებს გვიხდებოდა მათთვის საჩუქრების (უმეტესად ტკბილეულის) დაფასობა და გადაცემა, უსაჩუქროდ არც ერთი პატარა რჩებოდა. მრავალშვილიანი ოჯახების წარმომადგენლებს ერთ-ერთი პირველი შეხვედრა ჩვენ გაუმართეთ, ტკბილეულით და ნაარგვარი წვენებით გაწყობილი თითო მაგიდა დაეთმო თითო ოჯახს. მხიარული საღამო გამოგვივიდა და ყველა კმაყოფილი დაგვირჩა.

დიდი სამამულო ომის ერთ-ერთი მრგვალი თარიღის აღსანიშნავად ვეტერანების შეხვედრაზე საგანგებოდ მოვიწვიეთ მცხეთის სასულე ორკესტრი. ქარხანაში უამრავი მონაწილე გვყავდა. წინასწარ გამოვარკვიეთ მათი თანამებრძოლების ვინაობა და წერილობითი მოპატიჟება გავუგზავნეთ. უმეტესობა გვეწვია და ძალიან ამაღლებული გამოდგა წლობით უნახავი ფორნტელების შეხ-

ვედრა. მერე ყველამ ერთად შეასრულეს გამარჯვებისა და მშვიდობის სადიდებელი სიმღერები. ცხადია, დავასაჩუქრეთ კიდევ იმ ხანად საქართველოში პოპულარული იყო "ჩაის დღეები" და "ჩაის კვირეულები". აბა, როგორ იქნებოდა, ეს კარგი ტრადიცია ჩვენთანაც არ გაგვემართა. კულტსახლის ინიციატივით გაიმართა ღონისძიება ახალგაზრდობისათვის: "მე ვირჩევ პროფესიას". მოვიწვიეთ ინდუსტრიული ტექნიკუმის მოსწავლეები. მასპინძელთა მხარეს წარმოადგენდნენ ცემენტის ქარხნის წამყვანი სპეციალისტები, შრომის ამადგარი ადამიანები. მათ ერთობლივ საქმიანსაუბრებს მუსიკალური ნომრები შეეჯამათ.

აკაკი ვასაძე და სხვა მსახიობები. არაჩვეულებრივი საღამო გამოგვივიდა. სწორედ აქ, კულტურის სახლში, მაშინდელი ცემენტ-შიფერის კომბინატის დირექტორის, ნოდარ ვაშაძის ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა სახალხო თეატრს. რეჟისორად მოიწვიეს თამაზ მესხი. მის დამხმარეთა ჯგუფში იყვნენ მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობები: გიზო სინარულიძე, თამარ სხირტლაძე, კოტე თოლორაია, დავით დვალისვილი და გორის თეატრის ახალგაზრდა მსახიობი მერაბ ჭანკოტაძე. მასსოვს, პირველ სპექტაკლად წარმოვადგინეთ "საბრაღებო დასკვნა". მასში ვმონაწილეობდით ადგილობრივი სცენისმოყვარულებიც: ქეთინო გორგაძე (ნუნუ ექიმის როლში), გივი გიგაური, ვახტანგ იაშვილი, ვანო ბექაური და სხვები...

ერთ-ერთ სარვაშამათოდ დღესასწაულს მივუძღვევით კონკურსი-გამოფენა, რომელ-

2024 წლის 12 და 15 აპრილს, ორ ნაკადად, კასპის მერიის სააქტო დარბაზში ჩატარდა ტრენინგი კასპის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების აღმზრდელებისა და მეთოდისტებისათვის. საქართველოს გარე-

მოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ "გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი" სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აღმზრდელებისა და მეთოდისტების გადამზადებას ახორ-

ცილებს 2016 წლიდან. ტრენინგი მიეძღვნა გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობისათვის მომზადებულ სახელმძღვანელო სავსებით აქტუალურ "სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება". 2022 წელს


ჩატარდა კვლევა, რომლის შედეგებზე დაყრდნობით განახლდა სახელმძღვანელო და დამატება ახალი თემა - "კლიმატის ცვლილება". სახელმძღვანელო ყველა იმ საკითხს აერთიანებს, რომელთა ადრეული ასაკიდან სწავლება

ტრენინგი საბავშვო ბაღების მუშაკებისათვის

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვებში, გარემოსდაცვითი ცნობიერების ჩამოყალიბებისათვის. ტრენინგი წარმატებით დას-

რულდა, ესწრებოდა 28 საბავშვო ბაღის ყველა აღმზრდელი და მეთოდისტი, რომელთაც გადაეცათ სერტიფიკატები და სახელმძღვანელოები.

ტრენინგის ჩატარება უზრუნველყო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებამ.



ჩვენი გაერთიანების ფრთებზე შემოსულ საბავშვო ბაღებში ამ საგაზაფხულოდ პატარების ისეთი ხალისიანი ჟრიალია, მათი საერთო განწყობილების შედარება შეიძლება, ყველაზე მეტად, ალბათ, მერცხლების ფუსფუსსა

ბით, ისეთი მშვენიერი ლექსები თქვენს, თქვენი მოწონებული!

ჩვენი პატარების გასვლითი და გაცნობითი ხასიათის ღონისძიება მიეძღვნა დედაენის დღეს.

სულ მალე, უკვე სასექტემბროდ, ისინი პირადად დაუმეგობრდებიან და ცხოვრების მეგზურად გაიხდიან "დედაენას". ჩვენი და პატარების მშობლების სახელით მადლობას ვუხდით მასპინძლებსა და ორგანიზატორებს, ვინც საქალაქო ბიბ-



ლია შალუტაშვილი.


ქ. კასპის მეხუთე საბავშვო ბაღი

ღია აქტივობა 5-წლიანთა ჯგუფში ჩატარდა აღმზრდელის თანაშემწემ ღია მარიდაშვილმა. შეთავაზებული თემა არა მარტო საინტერესო აღმოჩნდა ბავშვებისათვის, არამედ "გემრიელიც". საქმე ისაა, რომ პატარებს არა მარტო გააცნო ხილი და ბოსტნეული და უამბო, თუ რატომ არის მათი გამოყენება ადამიანისათვის სასარგებლო, არა მარ-

ტო გააფერადებინა მათი ნახატები, არამედ მოუწყო სენსორული აქტივობაც: ბავშვებმა დააგემოვნეს ხილი, გამოიცნეს და აღწერეს მათი გემო.

ბაღის აღზრდელები 14 აპრილს, დედაენის დღესთან დაკავშირებით ესტუმრნენ კასპის საქალაქო ბიბლიოთეკას.

5-წლიანთა ჯგუფში (აღმზრდელი მაია ბაიდაური) თემალად შეირჩა "ცხოველთა სამყარო". გამოიყენეს თვალსაჩინო-



და თადარიგთან ერთად ...

პოდა, ეს მცირე-მცირე ამბებიც კუდმაკრატულა მერცხლებმა მოგვიტანეს თავიანთი ფრთებით:

ლიოთეკაში მიგვიწვიეს.

ქ. კასპის მეორე საბავშვო ბაღი

სასკოლო მზაობის ჯგუფის აღმზრდელმა ირმა მილაძემ, დედაენის დღესთან დაკავშირებით, პატარების საწყისი ტექნიკური და მოტორული უნარების განვითარების მიზნით, მშვენიერი "ცოცხალი" მაგალითი გამოიყენა - ქართული ანბანი.

"დედაენა - ქართველების სიამაყე" - ასეთი იყო თემატური დატვირთვა სასკოლო მზაობის ჯგუფის აღზრდელისა.

აქტივობა გამართეს აღმზრდელმა ნანა დალაქიშვილმა და თანაშემწემ



კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება

მერცხლების ფრთებით მოცანილი ამბები

ება "ტყე და ფერმა", საუბარი წარიმართა შინაურ და გარეულ ცხოველებზე. ბავშვებმა დააჯგუფეს ცხოველები, შექმნეს ალიკაცია "ცხვარი".

სოფელ სასირეთის საბავშვო ბაღი

ჟრიალით, ხალისით, ლამაზად

პირველკლასელები, სადღესასწაულო პროგრამა წარმოადგინეს არა საბავშვო ბაღის დარბაზში, არამედ სოფლის გიორგი მაზნიაშვილის სახელობის სახლ-მუზეუმის სივრცეში.

სოფელ რენეს საბავშვო ბაღი

ერთმა ყველაზე ყვავილოვანმა, განაპირობა და თვის უმთავრეს აქტივობად გადააქცია. სასკოლო მზაობის ჯგუფის პატარებმა (აღმზრდელი ნელი გორგაძე და მაია აბუჯაშვილი) "დედაენის" ზემო ბაღის უმშვენიერეს ეზოში აღნიშნეს. ვერავინ



ჩაიარა დედაენის დღისადმი მიძღვნილმა საზეიმო ღონისძიებამ თემაზე: "ო, ენავ, ჩემო, დედაო ენავ". საინტერესოა, რომ აღზრდელებმა, ვინც წელს გახდებიან

კარგახანს ემზადებოდნენ აქაური პატარები "დედაენის" დღის აღსანიშნავად. გამგე ნათია შიუკაშვილი და აღმზრდელი ნინო მელაძე კმაყოფილი დარჩნენ ბავშვების აქტივობით.

ქ. კასპის პირველი საბავშვო ბაღი

დედაენის დღისადმი მიძღვნილი აქტივობები გამართეს ჯგუფებმა "ჭიამაიებმა" (თეო მერებაშვილისა და თინა მენაბდიშვილის აღზრდელებმა) და "თოლიებმა" (ნათია მოსიაშვილი).

ქ. კასპის მეოთხე საბავშვო ბაღი

აქტუალური თემა აქაც აპრილმა, გაზაფხულის ერთ-

იღვცის, გადამწვანებულ და აყვავებულ ეზოს ბავშვები უფრო ამშვენებდნენ, თუ თვითონ ეზო - ბავშვებს.

მერე ერთად მოილხინეს აქტივობათა დარბაზშიც (მუსიკის პედაგოგი - ნაზიბროლა სეფაშვილი). საკუთარი ბაღის ტერიტორიას არ დასჯერდნენ და ქალაქის ქუჩებშიც მოედევნენ. პატარების ერთი ჯგუფი ქ. კასპის მესამე საჯარო სკოლას ეწვია და იქაური საანბანო ღონისძიება დაამშვენა, მეორე ჯგუფის ბავშვებმა კი ქალაქის ცენტრში, აგრარული ბაზრის მოედანზე, საკუთრი მარჯვენით შექმნილი აპლიკაციები გადასცეს

თანაქალაქელ მოხუც ქალბატონებს, გამეღვლელებს. ყველა მათ ღოცავდა ასეთი მოულოდნელი საჩუქრისათვის.

საგაზაფხულო თვეების თანამდევმა დათობამ, სიმწვანისა და სილამაზის მატებამ თავისებური გამოცოცხლება შეიტანა მუნიციპალურ სამუზეუმო სივრცეში. ჩვენი ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების გაერთიანებაში შემომაჯავლმა მხარეთმცოდნეობისა თუ ცნობილ

პიროვნებათა სახელობის სახელმუზეუმებმა ფართოდ განსწავლეს საკუთარი ეზოები და საგამოფენო დარბაზები. ასეა კასპშიც, ასეა სოფლებშიც. მათი საქმიანობის თვალმდევნება, დაკვირვება, ერთგვარი მიმოხილვა საკ

მუნიციპალური სამუზეუმო სივრცეში

მარისია იმის შესამჩნევად და სათქმელადაც, რომ ისინი სულ უფრო ფართოდ ემბიან ადგილობრივი ადმინისტრაციული და ტერიტორიული ერთეულების კულტურულ ცხოვრებაში და ამით უკვე კონკურენ

ტებად გადაიქცნენ სასოფლო კლუბებისა. არა, ამათი როლი და ფუნქცია აკი უპირველესია მოსახლეობისათვის კულტურულ-სანახაობრივი ღონისძიებების ორგანიზებაში, მაგრამ ესენიც (მუზეუმები)

წარმოჩინდნენ ამ კუთხით და ეს, ნამდვილად, მისასალმებელია. სამუზეუმო საქმიანობისათვის მოწოდებული შემოქმედებითი კოლექტივები ამით მეტ პოპულარიზაციას უწყვენ საექსპონატო

სივრცეში დაუნჯებულ ძვირფას ერთეულებს და, თანაც, იზიდავენ დამთვალიერებელთა ფართო მასებს, თუნდაც, მათში ჩართული მოსწავლე-ახალგაზრდობის, საზოგადოების წარმომადგენელთა, ადგილობრივი თუ უცხო ვიზიტორების სახით. ქვემოთ შემოთავაზებული ინფორ-

მაციები სწორედ შემაჯავებელი, საერთო სურათის შექმნის ცდაა, რადგანაც, ვფიქრობთ, მათში კარგად იხატება ერთიანი პანორამა, თუ სად, ვინ და როგორ გარჯილობს მუნიციპალურ სამუზეუმო სივრცეში (თუნდაც, ბოლო ერთი თვის განმავლობაში).

ქ. ქასანი — გიორგი ხორვათაძის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (მანჯარო გიორგი ჩაქუნიანი):

ხალხმრავლობა იყო 16 აპრილს გიორგი ხორვათაძის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ღონისძიება „ნუგზარ შატაძე-80“ მიძღვნიდა თანამედროვე ქართული მწერლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, დრამატურგისა და სცენარისტის, მწერლის ნუგზარ შატაძის (1944 წ. 9 მარტი — 2009 წ. 10 თებერვალი) დაბადებიდან 80 წლისთავს.

ღონისძიებას ესწრებოდნენ მწერლის ოჯახის წევრები, მეგობრები, ახლობლები, კასპის საზოგადოების წარმომადგენლები. ღონისძიებას უძღვებოდა მუზეუმის მენეჯერი გიორგი ჩაქუნიანი.

მწერლის ბიოგრაფია და შემოქმედება დამსწრეთ გააცნო მუზეუმის განყოფილების გამგემ

ნანა მერებაშვილმა. მან აღნიშნა, რომ ნუგზარ შატაძე წერდა იმაზე, „რაც გულით ჰქონდა განცდილი, და ატარებდა დიდ სევდას, მაგრამ უიმედობას არ მისცემდა“. მწერალი საქართველოს ჭირ-ვარამს მძაფრად აღიქვამდა: 90-იან წლებში აფხაზეთის დაკარგვასა და მათამკვლელ ომს, ლტოლვილთა ბედს, მათხვარი ბავშვების ბედუკუდმართ ცხოვრებას. იგი თითქმის მთელი წლის განმავლობაში ვალუტის გადასახურდავებელ ჯიხურში იჯდა... „იქაური ჭუჭყი, რომელიც სულში დაშლულა, დღემდე არ მომიცილებია, არადა მწერალს სუფთა სული უნდა ჰქონდეს...“; „ყოველთვის თვალწინ მედგა დანგრეული, გადამწვარი რუსთაველის პროსპექტი, ანჩოლბული, გაშავებული შენობები, ჩვენი სახლიც დაიწვა, მთლიანად ჩაიფერფლა და მისგან შავად აყაყული კედლები დარჩა“... იგონებდა მწერალი.

ნუგზარ შატაძემ დიდი წვლილი შეიტანა ქართული სალიტერატურო ენის განვი-

ლი გენის დღესასწაული წარმოსადგენად ორგანიზატორებს მიეწვიათ არა მარტო ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლის ნორჩი შემსრულებლები, არამედ მოსწავლეები მეზობელი სოფლიდან და ქალაქ კასპიდან. ჰოდა, ისინი, სანამ თავიანთ ხელოვნებას გაასცენიურებდნენ სახელმუზეუმის მშვენიერ ეზოში, მანამდე შენობის საგამოფენო ოთახებში დაბიჯებდნენ და ინტერესით ათვალიერებდნენ უამრავ ექსპონატს. ნაწ-

მზახნი გულის მწერლის გახსენება

თარებაში. მწერლის ენის ლექსიკური მარაგი გამდიდრებულია ქართული დიალექტებით. მისი ნაწარმოებები: „ხელეური“, „პურის მოთხრობა“ და სხვა შექმნილია სოფლის

„პეიტარი“, „მეფლული“, „ცხელი ძაღლი“, (კოტე ჯანდიერთან ერთად). ფილმს „გაღმა ნაპირი“ გერმანიაში ჯილდო „გრანპრი“ მიანიჭეს. მისი ნოველების მიხედვითაა შექმნილი პიესე-

ღონისძიებაზე მწერლის მოთხრობებიდან ამონარიდები წაიკითხეს კასპის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის (მენეჯერი ლ. პეტრიაშვილი) მხარეთმცოდ-



ყოფასა და გლეხკაცის ჭირ-ვარამზე. მწერალი სიყვარულსა და პატივისცემას გამოხატავდა თანასოფლელების მიმართ. მისი მოთხრობების პროტოტიპები: ბაწაწი, დომბური, კენიწი და სხვა იყვნენ ახალციხელები, ნოსტელები, ერთაწმინდელები... შატაძის სცენარების მიხედვითაა გადაღებული ფილმები: „ლომა“,

„მეკვლე“, „დაჭრილი წერო“, „დაბრუნება“... იგი, როგორც მსახიობი, მონაწილეობდა ფილმებში „ხარება და გოგია“ (ხარებას მძა), პეიტარი, „შუშის ნამსხვრევი“.

ნ. შატაძეს ასევე დაწერილი აქვს მოგონებები მწერლებზე, სპორტსმენებზე. ეს მასალა სხვადასხვა დროის პრესაშია დაბეჭდილი.

ფილების გამგემ თვა ბიჭიკაშვილმა.

მოგონებებით გამოვიდნენ: ნ. შატაძის მეუღლე დოლო ყვავილაშვილი, შვილები ვახტანგ და ლალი შატაძეები, ბიძაშვილები ციცი და პაატა შატაძეები, მეგობრები: საქართველოს ეროვნული

ღუნელმა, ამავე გაერთიანების სპეციალისტმა ლია მენაბდიშვილმა, მე-4 საჯარო სკოლის პედაგოგმა გულო გიგაურმა, შურნალისტმა ამირან ტალახაძემ, საზოგადოების წარმომადგენელმა თამარ გაბოძემ, ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძრის მღვდელმა მამა ალექსანდრემ (გუბელაძე).

ქალბატონმა დოლო ყვავილაშვილმა მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებს და მუზეუმს სახსოვრად გადასცა მხატვარ გ. იაშვილის ნახატი „12 წლის ნუგზარი“, მოსწავლეები დაასაჩუქრა მწერლის მოთხრობების კრებულით „შენსვერა“.

ბატონმა ელგუჯა ბერიშვილმა მუზეუმს უსახსოვრა წიგნები ქართველი ოლიმპიკების შესახებ. კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების გაერთიანების დირექტორმა ეთერ ჩაღუნელმა ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობისათვის მოსწავლეები სიგელებით დააჯილდოვა.

სოფელი კავთისხევის მხარე კელაპატრიის სახელმწიფო მუზეუმი (მანჯარო გიორგი ჩაქუნიანი):

იმდღევანდელი ღონისძიება აქ დაიწყო საკმოდ მოულოდნელი არტიფაქტით — ექსკურსიით! საქმე ისაა, რომ ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი ტერატურულ მუსიკალური კომპოზიციის „ქართუ-

ლი გენის დღესასწაული“ წარმოსადგენად ორგანიზატორებს მიეწვიათ არა მარტო ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლის ნორჩი შემსრულებლები, არამედ მოსწავლეები მეზობელი სოფლიდან და ქალაქ კასპიდან. ჰოდა, ისინი, სანამ თავიანთ ხელოვნებას გაასცენიურებდნენ სახელმუზეუმის მშვენიერ ეზოში, მანამდე შენობის საგამოფენო ოთახებში დაბიჯებდნენ და ინტერესით ათვალიერებდნენ უამრავ ექსპონატს. ნაწ-

ილს მშობლები ახლდა, ნაწილს — პედაგოგები. დიდი მეტროს სახელმუზეუმში კი აქამდე ყველას როდი ეხილა. ჰოდა, მთავარმა მასპინძელმა, თვით სახლის დიასახლისმა ნათელა (ციმი) კელაპატრიშვილმა ასეთი მომენტი ხელსაყრელად გამოიყენა და მათთვის გიდის როლიც საქმის ცოდნით შეითავსა, ექსკურსიამდლოლობა სიამოვნებით გასწია... და, მაინც, ვინ იყვნენ ისინი — სადღესასწაულო ზეიმის უშუალო შემოქმედნი?

— სოფელ კავთისხევის ომარ კელაპატრიშვილის სახელობის სახელმწიფო მუზეუმის სახელმწიფო მუზეუმი კი აქამდე ყველას როდი ეხილა. ჰოდა, მთავარმა მასპინძელმა, თვით სახლის დიასახლისმა ნათელა (ციმი) კელაპატრიშვილმა ასეთი მომენტი ხელსაყრელად გამოიყენა და მათთვის გიდის როლიც საქმის ცოდნით შეითავსა, ექსკურსიამდლოლობა სიამოვნებით გასწია... და, მაინც, ვინ იყვნენ ისინი — სადღესასწაულო ზეიმის უშუალო შემოქმედნი?

... იმდღევანდელი კავთისხევის დღე დასრულებითაც ნიშანდობლივი შესტი დასრულდა: სტუმართა ერთ ჯგუფს საჩუქრად გადაეცა ომარ კელაპატრიშვილის დაბადების 80-წლისთავთან დაკავშირებით გამოცემული წიგნი: „ქართული საღამურით დაპყრობილი მსოფლიო (ომარ კელაპატრიშვილი)“, ხოლო ყველა მონაწილე მოსწავლე დაჯილდოვდა სიგელებით.



კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების გაერთიანება.

სპორტ INFO

გვესაუბრება შალვა მერეპაშვილი - ქართული სათვისტომოს ხელმძღვანელი ჩრდილოეთ გერმანიაში (ქ. ბრემენი):

გერმანიის ქალაქ ბრემენში ყოველწლიურად, მარტის მეოთხე შაბათ-კვირას, ბრემენის ძიუდოს

კლუბის ხელმძღვანელი - ბისა და, უშუალოდ, მისი დირექტორის ნორბერტ შპეკერის ორგანიზებით ტარდება საკმაოდ მაღალი სასპორტო დონის საერთაშორისო ტურნირი ჭაბუკი და ახალგაზრდა ძიუდოსტებისათვის: - "ბრემენის ინტერნაციონალური მასტერსი"

ტურნირის 40-წლიანი ისტორიის განმავლობაში, და განსაკუთრებით ბოლო წლებში, ბატონი ნორბერტის თქმით, ხშირია შემთხვევა, როცა არაერთი ქვეყნის სახელით ასპარეზობენ ქართველი ძიუდოსტებიც. თუმცა, სამწუხაროდ, ტურნირზე აქამდე არასოდეს ყოფილა წარმოდგენილი საქართველოდან არც ერთი ძიუდოს კლუბი, ან ნაკრები. ამ ყველაფრის გამოსასწორებლად 2023 წლის აგვის-

ტომი დამიკავშირდნენ, როგორც ჩრდილოეთ გერმანიაში ქართული სათვისტომოს თავმჯდომარეს, აღნიშნული ტურნირის ორგანიზატორები, ცხადია, ბატონი ნორბერტის თაოსნობით, და მთხოვეს მათთან შეხვედრა.

მათი ინიციატივა და დაინტერესება ჩვენთვის სრულიად გასაკვირ და მისაღები იყო.

შეხვედრის დროს საუბრისას ბატონმა ნორბერტმა ერთგვარი სინანულის გრძობით აღნიშნა ის ფაქტი, რომ ყოველ წელს ტურნირის დაწყებამდე, რეგისტრაციის გავლისას ხშირად ხვდება მოჭიდავეთა ქართულ გვარებს, თუმცა,

ყაზაკოვი მოჭიდავეები ბრემენში

იქიდან გამომდინარე, რომ ისინი ირიცხებოდნენ სხვა ქვეყნების გუნდებში და გამოდიოდნენ არა საქართველოს სახელით, არ შეეძლოთ ტურნირის ფლავშტოკზე საქართველოს დროშის დაკიდება.

დასასრული გვ-მ.

კრივი მესხეთა რინგზე

ოთარ თოიძე - მწვრთნელი: აპრილის პირველ და მეორე დეკადაში მესხეთ-ჯავახეთის მხარის ქალაქებში ორ საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა. კასპელი მოსწავლე-მოკრივეები ორივე გან წარმატებით გამოვიდ-

ნენ. ქ. ახალციხეში 4-7 აპრილს მონაწილეობა მივიღეთ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებული ტრადიციული "მერიის თასის" გათამაშებაში. მოვიპოვეთ სამი საპრიზო ადგილი: მეორეზე გავიდა გურამ კორკოტაშვილი (რომელსაც შემტევი სტილის გამო უკვე შეარქვეს "ჩაქუნა"),



ხოლო მესამე ადგილები დაიკავეს ჯემალ კორკოტაშვილმა და ზურაბ კახიანიშვილმა. კრივის პოპუ-

ლარულ და მზარდ ნაირსახეობას - კიბოქსინგს კასპში ბევრი მიმდევარი ჭაბუკი ჰყავს. შეჯიბრებებშიც ხშირად გამოვლივართ. კასპშიც კი მოწყობილა ქვეყნის პირველობა კრივის ამ სახეობაში. ამჯერად იმ წარმატების შესახებ გაცნობებთ, ჩვენმა ბიჭებმა 12-14 აპრილს რომ მოიპოვეს ქ. ახალქალაქის

რინგზე გამართული საერთაშორისო ტურნირის ფარგლებში. გვყავს სამივე სინჯის მედლების მფლობელები: განმპიონდნენ ნიკა ბერიანიძე და ჯემალ კორკოტაშვილი, მეორე ადგილი დაიკავეს ნიკოლოზ ქენქაძემ და ზურაბ კახიანიშვილმა, ხოლო მესამე იყო ლუკა ლეკიშვილი.

ქართული ჭიდაობა ჩინეთში

ქართული ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციას ეს ტურნირი, რომელზეც ქვემოთ მოგახსენებთ, ყოველწლიურ გეგმაში უზის და, ტრადიციულად, კასპში მართავს აპრილის დასაწყისში. ასე იყო შარშანაც, ასე მოხდა წელსაც. ამდენად, ფედერაციის პატრონაჟით გამართულ შეჯიბრებას ჭაბუკთა შორის არც პრესტიჟულობა დაეწუნება და არც მასშტაბურობა. აღსანიშნავია, რომ კასპში 2-3 აპრილს ჩატარებულ შეჯიბრებას სტუმრობდნენ სასპორტო სფეროში ცნობილი ადამიანები: საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელი ალექსანდრე კოპალიანი, საქართველოს აბსოლუტური ფალავნები მალხაზ ბერუაშვილი, ჯემალ მჭედლიშვილი და ოთარ ყურაშვილი, მარნეულის სასპორტო სკოლის დირექტორი მამუკა ნავერიანი, აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი ჯემალ წულუკიძე... მასპინძელთა მხარეს წარმოადგენდნენ მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელები, რაც დასტურია იმისა, რომ რესპუბლიკურ ტურნირს სათანადო მხარდაჭერა და თანადგომა მუდამ გააჩნია არა მარტო ადგილობრივი სპორტის დაწესებულებების დირექციის მხრიდან. მარტოდღა ასპარეზობის ჩემპიონთა სადაურობის მინიშნებაც კი საკმარისია საიმისოდ,

რომ წარმოდგენა შეგვექმნას მონაწილეთა ფართო გეოგრაფიულ არეალზე. მამ ასე: საქართველოს 2024 წლის ჭაბუკთა პირველობის გამარჯვებულები კასპში გახდნენ (2007-09 წლებში დაბადებულთა შორის): გიორგი მურაჩაშვილი და ჰამლეტ დავლაშერიძე (ორივე ქარელი), ლუკა დარისპანიშვილი და ვახო ჭიაბერაშვილი (ორივე - საგარეჯო), ბესო სიმსიანი (თეთრი წყარო), ლუკა ქუთათელაძე (წყალტუბო), ზურაბ წიკლაური (დუშეთი) და ლუკა რაზმაძე (თელავი).

გამარჯვებულთა შორის ვერც ერთი კასპელი ჭაბუკის გვარი რომ ვერ ამოიკითხა, ადგილობრივ გულშემატკივარს, ცხადია, ეს არ გამოჩნებოდა.

ასეა, ჩვენი ბიჭების შედეგები საკმაოდ მოკრძალებულია: მხოლოდ ორი საპრიზო ადგილი და ორივე - მესამე, შედარებით მცირეწონისანთა შორის, 55-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში კვარცხლბეკის მე-3 საფეხურზე დადგა ლუკა მღებრიშვილი, ხოლო 60 კგ-ში - ალექო ხიზამბარელი. საინტერესოა, რომ ეს უკანასკნელი შარშანდელ ანალოგიურ პირველობაზე წინა წონაში გამოდიოდა და მამინაც მესამე იყო, აი, ჩემპიონობას კი ვერც წელს შესწვდა. სხვათა შორის, ეს შარშან მოახერხა 46 კგ-ში გამარჯვებულმა თემურ გოგრიტიანმა.

ჩოგბურთი პირველსკოლელაბი - პირველადი მხარე

კასპის სპორტკომპლექსის მრავალპროფილური დარბაზის პარკეტზე აპრილის დასაწყისში საჩოგბურთო მაგიდეები გაეწყო. საქმე ისაა, რომ ჩვენმა დარბაზმა უმასპინძლა მხარის ოთხივე მუნიციპალური ეტაპის გამ-

არჯვებულ გუნდებს მაგიდის ჩოგბურთში. ჩვენი ქალაქის პირველი საჯარო სკოლის ჩოგბურთელთა გუნდი მასპინძლის სტატუსი გაამართლა ჩემპიონობით. მაღლობას იმსახურებენ სკოლის დირექტორიც - მაია დაბრუნდაშვილი და სპორტის პედაგოგებიც - გოდერძი მარიდაშვილი და ასმათი პავლიაშვილი, რომლებმაც ხელი შეუწვეს თავიანთი მოსწავლეების წარმატებას. აი, ისინიც, მხარის პირველი გუნდის წევრები: შაკო გეგელაშვილი, გიორგი მჭითურიძე, ალექო პოპოვი და ნიკა კოტიაშვილი.

მინიფუნსბურთი მხარის ჩემპიონის, პრიზიორის

სოფელ კავთისხევის საჯარო სკოლის (დირექტორი ნელი ჯანანაშვილი, სპორტის პედაგოგი ალექსანდრე ნონიკაშვილი) მოსწავლე-ვაჟთა საფეხბურთო ნაკრებმა - მუნიციპალური სასკოლო ოლიმპიადის გათამაშების გამარჯვებულმა გუნდმა - ახლახან დიდ წარმატებას მიაღწია შემდგომ ეტაპზე: მან დამსახურებულად გაიმარჯვა რეგიონული მასშტაბით ჩატარებულ პირველობაზე. ამდენად, შიდა ქართლის მხარის ჩემპიონი გვყავს სოფელ კავთისხევიდან. აი, ისინიც: ნიკა კაციაშვილი, ნიკოლოზ მორჩილაძე, სანდრო კელაპტრიშვილი, გიორგი ბასიაშვილი, ლუკა მორჩილაძე, საბა არაყიშვილი და გიორგი კასრაძე.

აღსანიშნავია, რომ ანალოგიურ ტურნირში (გოგონათა შორის) ვიცე-ჩემპიონობა მოიპოვა სოფელ სამთავისის საჯარო სკოლის მოსწავლეთა გუნდმა (სკოლის დირექტორი - ლელა ჩერქეზიშვილი, სპორტის პედაგოგი - ლალი ხარაიშვილი).

სამო საქართველოს პრიზიორი

იოსებ მამულაშვილი - მწვრთნელი: მეტეხელმა 21 წლის სოსო ფივიძემ ახლახან კიდევ ერთი სპორტული ჯილდოთი შეივსო საკუთარი სასპორტო ყულაბა. ქ. თბილისში 10-11 აპრილს ჩატარებულ რესპუბლიკურ ახალგაზრდულ ჩემპიონატში მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. გეტყვით იმასაც, რომ ამ შეჯიბრების წინ მან იასპარეზა ქ. ბრემენის (გერმანია) ძიუდოს კლუბის ორგანიზებულ საერთაშორისო ტურნირში. აი, სად იჭიდავა მან კარგად: წინასწარი ოთხი შეხვედრა მოიგო და ნახევარფინალში გასასვლელში დამარცხდა ძლიერ მეტოქესთან. აღსანიშნავია, რომ იქ მონაწილე 80-მდე გუნ-



დი თავიანთი ქვეყნის ნაკრებებს წარმოადგენდა, საქართველო კი გამოვი-

და მხოლოდ პატარა ქალაქის გუნდით და მასში იყო ჩვენი სოსოც.

კარაბე გორის ღია პირველობის პრიზიორები

ალექსანდრე მანძულაშვილი - კლუბი "კასპის ტაეკვონდო-კარატე-დოს" მწვრთნელი: გაგაცნობთ ჩვენი კლუბის სპორტსმენებს, ვინც ქ.

გორის ღია პირველობაზე სხვადასხვა სინჯის მედლები დაიმსახურეს (მათი ასაკობრივი კატეგორიების ჩართულობის ჩვენებით):

8-9-წლიანები - ნინი პაპიაშვილი, 10-11 - ლევან პაპიაშვილი, 14-15 - ლანა დავითაშვილი, 18-20 - ნათია ჭაჩნაკია. დავით დალაქიშვილი - კლუბი "ხვადის" მწვრთნელი: ანალოგიურ შეჯიბრებაში თავი გამოიჩინეს ჩვენი კლუბის

16-17-წლიანთა კატეგორიაში გამოსულმა გოგონამ და ვაჟებმა: ელენე ჩიტაშვილმა, ვახტანგ წიკლაურმა და ლევან ბიბილურიძემ. აი, საბა გოგიაშვილი კი წარმატებული იყო 18-20-წლიანთა და უფროსთა კატეგორიებში.

დიახ, ის, ოცდამეათე წლის გოდერძი ძევისაშვილი, ჩვენი ახალი და დიდი იმედია. ძველი ელადის მიწაზე დაბადებული ოლიმპიური საზაფხულო თამაშების შემქმნელებმა ყველაზე სასპორტო დიდ მოძრაობას ოლიმპიადე გამოაკერეს სარჩულდევით: მთავარია მონაწილეობა და არა გამარჯვება! ჰოდა, ჩვენი გოდერძი უკვე არის ოლიმპიადეა "პარიზი - 2024"-ის ოფიციალური ლიცენზიანტი! მაგრამ, ამასთანავე, როგორც ქართველებს გვჩვენებ, ვრჩებით მაქსიმალისტებად და პრეტენზიას ვაცხადებთ, გვსურს წარმატება, მეტი მიღწევა, მედლის მონაწილეობა, ოლიმპიური ჩემპიონობა.

ის, ჩვენი ლიცენზიანტი, ოლიმპოს მთისაკენ მიმავალ გზაზე ახლახან გამოჩნდა ხმაურით, თამამად და გაბედულად, მიმდინარე წლის დასაწყისში მოხვდა საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ეროვნულ ნაკრებში. დებიუტანტის კვალობაზე თავი არ შეირცხვინა, მწვრთნელთა თვალში პერსპექტიულობის თვალსაზრისით

დასასრული დასაწყისი იხ. გვ -7.

სწორედ ამიტომ მთხოვა, დავხმარებოდი საქართველოდან ძიუდოსტების ჩამოყვანაში. მეტიც, მათთვის ეს იქნებოდა საკმაოდ პრესტიჟული და, საერთოდ, ასეთი ფაქტობრივი სიახლე ტურნირის სახელს აამაღლებდა, მის დონეს კი ხიბლს მიანიჭებდა.

საქართველოდან მოჭიდავეების წამოსვლის შემთხვევაში, ტურნირის ორგანიზატორები მზად იყვნენ, გერმანიაში ერთკვირიანი ყოფნის პერიოდში, მათთვის აენახლათ ურბანთა ყველაზე ხარჯი.

რა თქმა უნდა, ბატონ ნორბერტს ის ამოვნიებთ დავპირდით დახმარე-

გაიზარდა, ნდობის ფაქტორი განიმტკიცა... მაგრამ, სანამ მის სადებიუტო ევროპულ პირველობაზე გამოსვლის, ანდა აზერბაიჯანულ სალიცენზიო ტურნირზე წარმატებული ჭიდაობის პერიპეტებს მოვიშველიებთ, მანამდე თვალის გადავავლოთ მისი ჭაბუკობისა და ახალგაზრდული პერიოდების სპორტულ პირველ ნაბიჯებს:

2015 წელი - მეორე ადგილი - ქ. თბილისის საერთაშორისო ტურნირი ლერი ხაბელოვის სახელობის თასზე, 2015 - მესამე ადგილი - ქ. თბილისის ზარიბეგ ბერიაშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირი,

2016 - მესამე ადგილი - ქ. ხარკოვის (უკრაინა) საერთაშორისო ტურნირი "დუნაის მემორიალი" (შენიშვნა: სამივე შეჯიბრება ჭაბუკთა ასაკობრივ კატეგორიას განეკუთვნებოდა და გამოდიოდა 54 კილოგრამამდე წონაში),

2019 წელი - პირველი ადგილი - ქ. რიგის (ლატვია) საერთაშორისო ტურნირი (ახალგაზრდათა შორის, 66 კი-

ბას. არც შორს წავსულვარ და არც ბევრი მიფიქრია, თუ ვისთვის უნდა მიმართა. კასპში იმავე დღეს დაუკავშირდი ბატონ ზურაბ კობახიძეს. მას გავაცანი გერმანული მხარის შემოთავაზება და გამოკითხე სათანადო ინფორმაცია ჩვენს მუნიციპალიტეტში მოქმედი ძიუდოსტების შესახებ. ამასთან, ვთხოვე, გუნდის დაკომპლექტება მწვრთნელთან ერთად.

შემოდგომით, საქართველოში ჩემი ყოფნის დროს, შევხვდი პირადად ბატონ ზურაბსა და გუნდის მწვრთნელს, იოსებ მამულაშვილს. დეტალურად გავიარეთ და შევთანხმეთ საორგანიზაციო საკითხები.

... და, აი, 2024 წლის 20 მარტს ხე-

ლოგრამამდე კატეგორია)... ... მაშ, ასე: 2024 წლის 16-18 თებერვალს სადებიუტო ევროპის პირველობა:

საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა გიორგი იანტაბელიძემ 10-კაციანი გუნდი იახლა ქ. ბუქარესტში (რუმინეთი). მათ შორის ქვესაშუალო წონაში (65 კგ.) ნაკრების პრესტიჟის დაცვა ახალბედებს მიანდო - გოდერძი ძევისაშვილს. აღსანიშნავია, რომ მათგან ხუთი მოჭიდავე გავიდა ნახევარფინალურ ეტაპზე, ანუ მოხვდა საუკეთესოთა ოთხეულში. მათ შორის იყო გოდერძი. ოო, აი, ეს ბარიერი კი დაუძლეველი დაურჩა. უბრალოდ, გამოცდილება არ ეყო თურქმენ ჰაჯიმურატ რაშიდოვთან, რომ გადაწყვეტი შეხვედრა სასურველი შედეგით დაეხრებინა... აი, ასე, მხოლოდ ერთი ნაბიჯის გადადგმა დაკლდა სპორტო ყალიბური ჩამოსხმის მდელამდე.

... და, აი, "პარიზი - 24"-ის ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო შეჯიბრება ქ. ბაქოში

ლახლა შევხვდით ერთმანეთს, უკვე მოჭიდავეებთან ერთად, უკვე გერმანიის მიწაზე.

ქალაქ ბრემენში ჩემთან ერთად ტურნირის ორგანიზატორებიც დიდი სიხარულით დახვდნენ ჩვენს ბიჭებს. 22 მარტს კი ბრემენის მთავარ გაზეთში - "ვეზერ კურიერი" - დაიბეჭდა სტატია ტურნირის შესახებ, სადაც ხაზგასმით იყო ის ფაქტი მოხსენიებული, რომ წელს პირველად მონაწილეობდა საქართველოც. ხოლო 23 მარტს, ტურნირის საზეიმო გახსნისას, გერმანიის დროშის გვერდით საპატიო ადგილი ეკავა საქართველოს დროშას.

უშუალოდ ტურნირმა ჩვენი მო-

გოდერძი ძევისაშვილი - პარიზის ოლიმპიადის მონაწილე ზეინი სხვათა იმედი



(აზერბაიჯანი), წლებიდან აღიარდა აპრილის დასაწყისში:

გოდერძი ძევისაშვილმა ასპარეზობა საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყო. პირველი შეხვედრა მოუგო შვეიცარიელ მეტოქეს ნინო ლაუტერტს (4:1), მეოთხედფინალში ფრიად დამაბული ორთაბრძოლა შემოატრიალა ბოლო წამებში - ბეწვის ხიდზე გაიარა უკრაინის სახელით გამოსულ სომეხ ერეკლე არუშანიანთან, მეტოქე 2:0-ზე იგებდა და

დროის ამოწურვამდე მხოლოდ ოთხი წამით გაუთანაბრა ანგარიში: ზურგიდან მოუარა და მოწინააღმდეგე ჩოქვინში გადაიყვანა. ასეთმა დასასრულმა ემოციური მუხტი შემატა და ნახევარფინალში გადაიყოლა, ანუ, იქ კიდევ ერთხელ "აფეთქდა", თანაც, ისევ ბოლოს, როცა ქართველმა დაწერა და იმდერა "ზღაპრის ბოლო კეთილია!"... მართალია, მოლდაველ მაქსიმ საკულტანთან 0:1-ზე აგებდა, მაგრამ მაინც მოახერხა სასურველი

ყანჭველი მოჭიდავეები ბრემენში



ჭიდავეებისათვის საკმაოდ დამაბულად ჩაიარა. კასპელთა ჭაბუკმა ძიუდოსტმა საბა სონღულაშვილმა, 81 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში, მესამე ადგილი დაიკავა. სხვა წონებში, კასპის ნაკრების წევრებთან შედარებით, მოწინააღმდეგეები

აღმოჩნდნენ უკეთეს ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ფორმაში.

ასევე, აღსანიშნავია, რომ ბრემენული მასტერსის დასრულების შემდეგ, ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ინტენსიური ვარჯიშები, სადაც მისი მონაწილე

ერთქულიანი ფანდის ჩატარება და სწორედ ბოლოს აღებულ ქულის წყალობით შევიდა ფინალში. ეს უკვე ნიშნავდა სანუკვარი ლიცენზიის (გნებავთ, საგზური დაარქვით, გნებავთ - უფლებას!) მოპოვებას, დამსახურებას, გარანტირებას.

*** გოდერძი ძევისაშვილი კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო რენეს მკვიდრია. იგი გახლავთ ქ. გორის ნუგზარ სხირელის სახელობის საჭიდაო სკოლის აღზრდილი. მისი პირადი მწვრთნელი არკადი ხინჩაკიშვილი. ეს ის სკოლაა, საქართველოში თავისუფალი სტილის მოჭიდაობის მექაძე რომ არის აღიარებული! ხინჩაკიშვილები კი იმ გვარის კაცები არიან, ოლიმპოს მთაზეც რომ შემდგარან!

ჭიდაობის ამ სახეობის კასპელ გულშემატკივრებს შეგახსენებთ, როგორი პერსპექტივა სუფევს პარიზული წლებიდან დაწინაურებული ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე დარჩენილი თვეების წინ:

აპრილის ბოლოსათვის საქართვე-

ლოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრების წევრთა ანგარიშზე მხოლოდ სამი ლიცენზიაა: 1. გოდერძი ძევისაშვილი (65 კილოგრამი), 2. გივი მაჭარაშვილი (97), 3. გენო პეტრიაშვილი (125).

არადა, დარჩენილია რვა ლიცენზია. ქართველ მოჭიდავეებს მანამდე კიდევ მიეცემათ ერთი შანსი. საქმე ისაა, რომ ა.წ. 9-12 მაისს ქ. სტამბოლში (თურქეთი) გაიმართება ბოლო სალიცენზიო ტურნირი. აი, სწორედ მისი შედეგებით შესაძლებელი გახდება ლიცენზიების მოპოვება. ცხადია, აქცენტი აღებულ იქნება სწორედ იმ წონებზე, რომლებშიც საგზური არ გაგვანია. ცხადია, მწვრთნელებიც მათ გაგვანინან, ვისიც უფრო ეიმედებათ, რადგანაც ახლა ცდებისა დექსპერიმენტების დრო არ არის. მთავარია, იქ, სტამბოლის შეჯიბრების ფინალში წონების სამეულელებში მოხვედრა ისევე, როგორც ეს მოხდა ქ. ბაქოში, სადაც საუკეთესო დუეტები, ანუ ფინალისტები, შეიქმნენ ლიცენზიანტები.

გუნდების 800-მდე ძიუდოსტი ერთობლივად ვარჯიშობდა. საქართველოში გამოგზავრების წინა საღამოს ერთობლივად შევიკრიბეთ ჩვენი მოჭიდავეები, მწვრთნელთან ერთად. დეტალურად განვიხილეთ განვლილი დღეების ამბები. ყველასგან მოვისმინეთ შთაბეჭდილებები, თუ რა გამოცდილება და სარგებელი მიიღეს ამ ტურნირში მონაწილეობით, თუ რა უნდა გამოასწორონ სამომავლოდ. ბიჭებმა პირობა დადეს, რომ უკვე საგაიხლო შეჯიბრებით მოემზადებიან და ისე ჩამოვლენ ბრემენში. ჩემთვის, როგორც რიგითი კასპელი სათვის,

როგორც რიგითი ქართველისათვის უპირველეს ყოვლისა, სასიხარულო იყო, რომ მომეცა საშუალება, დავხმარებოდი კასპელ მოჭიდავეებს, მოხვედრილიყვნენ ბრემენის ტურნირზე და უკვე ადგილზე, ჩემს ოჯახთან ერთად მეგულშემატკივრა მათთვის.

მჯერა და მწამს, მათ მიერ აქმილებული გამოცდილება საწინდარი იქნება მათი სპორტული კარიერის განვითარებისა და წინსვლისათვის. ამასთანავე, ჩემთვის მეტად საამაყო ის მოვლენაა, რომ საქართველოს სახელმწიფო ოფიციალურად გაიფურა აღნიშნულ ტურნირზე, ასევე, ქალაქ ბრემენის მასშტაბით.

რედაქციასში შემოსული წერილები არ იქნებიან და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. კოლორ პრესში

რედაქცია ნელმკვანელიძის თაძინაშვილი პრესის პრინციპებით. სტატიის ავტორის აზრი, შეხატვა არ ემთხვევა რედაქციის აზრს. მოგანილი შეჯიბრის სიხარულზე პასუხისმგებელია ავტორი. სარედაქციო მასალები და განხილვების შედეგები რედაქცია პასუხს არ აძლავს. რედაქციის ნებართვით გარეშე მასალები გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქცია ნანა მერაბიშვილი რედაქციის მისამართი: 2600 ქ ქაზვი სააქაძის ქ. № 68 ტელეფონი 22-25-76